



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 28 დეკემბერი

დისციპლინური საქმე №184/19
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

--- 2019 წლის 1 ნოემბრის №184 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 13 ნოემბრის №449/184-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 9 დეკემბერს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორი მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების და განჩინებების კანონიერებას ხდის სადავოდ. საჩივრის ავტორის განცხადებით, სასამართლომ მისი უფლებების და ინტერესების არასწორი შეფასებით კიდევ ორი თვით გაახანგრძლივა მისი საკუთრების უკანონო ხელყოფა.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. --- 2016 წლის 17 აპრილს სარჩელით მიმართა --- სასამართლოს, მოპასუხის - --- მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით. 2016 წლის 16 მაისს მოპასუხემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი. 2017 წლის 10 მაისს გაიმართა სასამართლოს მთავარი სხდომა. 2017 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით --- სარჩელი დაკმაყოფილდა.

2.2. 2017 წლის 5 ივნისს მოპასუხე მხარემ სააპელაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 16 ივნისის განჩინებით --- სააპელაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი. 2017 წლის 2 აგვისტოს --- სააპელაციო შესაგებელი წარადგინა სასამართლოში. 2017 წლის 27 სექტემბერს გაიმართა სასამართლო სხდომა. 2017 წლის 27 სექტემბრის განჩინებით --- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა --- სასამართლოს 2017 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება.

2.3. 2017 წლის 30 ოქტომბერს --- საკასაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 07 ნოემბრის განჩინებით --- საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა

წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად. 2017 წლის 29 ნოემბრის განჩინებით -- -- საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2.4. 2017 წლის 27 დეკემბერს სასამართლოდან გაიკა სააღსრულებო ფურცელი.

2019 წლის 30 იანვარს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს და გადაწყვეტილების აღსრულების გადადება ითხოვა. 2019 წლის 1 თებერვლის განჩინებით -- -- განცხადება, -- -- სასამართლოს 2017 წლის 10 მაისის გადაწყვეტილების აღსრულების გადადების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; -- -- სასამართლოს მიერ 2017 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებაზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე წარმოებული იძულებითი აღსრულების პროცესი -- -- მიმართ გადაიდო განჩინების მიღების დღიდან 2 თვის ვადით.

2019 წლის 15 თებერვალს -- -- კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში 2019 წლის 1 თებერვლის განჩინებაზე. სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 1 მარტის განჩინებით კერძო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და მის შესავსებად განესაზღვრა 10 დღის ვადა.

2019 წლის 25 ოქტომბერს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს და გადაწყვეტილების აღსრულების გადადება ითხოვა. 2019 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით -- -- განცხადება, -- -- სასამართლოს 2017 წლის 10 მაისის გადაწყვეტილების აღსრულების გადადების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; -- -- სასამართლოს მიერ 2017 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებაზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე წარმოებული იძულებითი აღსრულების პროცესი -- -- მიმართ გადაიდო განჩინების მიღების დღიდან 2 თვის ვადით.

2019 წლის 1 ნოემბერს -- -- კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში 2019 წლის 25 ოქტომბრის განჩინებაზე. სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 11 ნოემბრის განჩინებით კერძო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და მის შესავსებად განესაზღვრა 5 დღის ვადა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 9 დეკემბრის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავე ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი - დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს თუ არა სარჩელი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა საქმეზე გადაწყვეტილება, უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ერთჯერადად, 3 თვემდე ვადით გადადოს ან ერთ წლამდე ვადით განაწილვადოს გადაწყვეტილების აღსრულება, აგრეთვე შეცვალოს მისი აღსრულების საშუალება და წესი.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ... თუ აღსრულების ადგილზე შექმნილი განსაკუთრებული ვითარების (მოვალის ან მისი ოჯახის წევრის ავადმყოფობა, გარდაცვალება ან სხვა საგანგებო შემთხვევა) გამო შესაბამისი მოქმედების გაგრძელება არ შეესაბამება მორალის ზოგად პრინციპებსა და ნორმებს, მოვალის განცხადების საფუძველზე შესაძლებელია გადადოს იძულებითი აღსრულების ესა თუ ის ღონისძიება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს.“

განსახილველ შემთხვევაში, მოსამართლე შესაბამისი განჩინებების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, გამოტანილი განჩინების კანონიერებაზე. განჩინების ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოში მართლმსაჯულებას საერთო სასამართლოები ახორციელებენ. მართლმსაჯულების განხორციელება, თავისთავად, გადაწყვეტილებათა გამოტანასაც გულისხმობს. მხარეთა მოთხოვნების მართებულობასა და კანონიერებას სასამართლო წყვეტს და მხარე რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება არ ნიშნავს რომ გადაწყვეტილება არაკანონიერია.

მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 9 დეკემბრის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

-- -- №184 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი